სპორტი, მეგობრობა, მშვიდობა

საერთაშორისო შეჯიბრებათა საზეიმო გახსნა მოსკოვში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი და „მეგობრობის“ შეჯიბრებათა საზეიმო გახსნისადმი მიძღვნილი მრავალფეროვანი სპორტულ-მხატვრული დღესასწაული.

ტრიბუნებზე არიან საპატიო სტუმრები: საბჭოთა ფიზკულტურის მოძრაობის ვეტერანები, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ათლეტები და მათი უცხოელი მეგობრები, შრომაში სახელმოხვეჭილი ადამიანები, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა ხელმძღვანელები, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტები, მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ხელმძღვანელები.

შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგების **ვ. ი. ვოროტნიკოვის, მ. ს. გორბაჩოვის, ვ. ვ. გრიშინის, გ. ვ. რომანოვის, დ. ფ. უსტინოვის, პ. ნ. დემიჩევის ვ. ი. დოლგიხის, ვ. მ. ჩებრიკოვის, მ. ვ. ზიმიანინის, ი. ვ. კაპიტონოვის, ე. კ. ლიგაჩოვის, ნ. ი. რიჟკოვის** გამოჩენას, რომლებიც ცენტრალურ ტრიბუნაზე იკავებენ ადგილებს.

16 საათია. ლუჟნიკის თავზე ხმამაღლა გაისმის მოსკოვის გამოსაძახებელი ჰანგის მუსიკალური ფრაზა: „ვრცელია ჩემი სამშობლო...“, რომელსაც ერთვის კრემლის კურანტების მელოდიური ხმა.

დაიწყო საზეიმო მარშ-პარადი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, ლენინგრადის, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა სპორტსმენებმა.

„მეგობრობა-84“-ის საერთაშორისო შეჯიბრებათა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ **მ. ვ. გრამოვმა** გულთბილად მიმართა „მეგობრობის“ მოსკოვის შეჯიბრებათა მონაწილეებს, უსურვა მაღალი წარმატებები სპორტისა და მშვიდობის სასახელოდ.

სსრ კავშირის ჰიმნის საზეიმო მელოდიაზე ანძაზე აღიმართა საბჭოეთის სახელმწიფო დროშა.

დღესასწაულის მონაწილენი ფეხზე ამდგარი შეეგებნენ ჩირაღდანს, რომელიც აინთო კრემლის კედელთან მარადიული დიდების ცეცხლიდან.

მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა ვიქტორ მარკინმა ჩირაღდნით ხელში აირბინა აღმოსავლეთ ტრიბუნაზე აღმართულ [illegible]ება ჯამთან, აგიზგიზდა ალი, როგორც ხალხის ხსოვნა, როგორც კეთილშობილური სპორტული ბრძოლის რაინდული სიმბოლო.

ამერიკის შეერთებული შტატების ანტისაბჭოთა, ანტისოციალისტური ისტერიის ატმოსფერომ არ მისცა საშუალება სოციალისტური ქვეყნების უმეტესობას მონაწილეობა მიეღოთ ოლიმპიურ თამაშებში, მათ შორის კი ნახევარზე მეტი ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონი და გამოჩენილი სპორტსმენია, ჩვენ

(დასასრული მე-4 გვ.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 159 (7720)

19 აგვისტო, კვირა, 1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.



ორიენტირი— მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სკოლაში საღამო ჟამს მივედი. საჭიდაო დარბაზები ცარიელი იყო. საერთო ფიზიკური მომზადების დარბაზში იქნებიანო, მიმასწავლეს. იქ ისეთი ხმაური იდგა, კაცს თავი სამჭედლოში გეგონებოდა.

საქართველოს ძიუდოისტ მოსწავლეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვასილ ლაზრიშვილი მოვძებნე და ვთხოვე გუნდის მზდების შესახებ მოეთხრო.

მხოლოდ უმაღლესი ადგილებისთვის

— მოსწავლეთა 1984 წლის სპარტაკიადისთვის მზადებას ორი თვის წინ შევუდექით. 12-დან 27 ივნისამდე ქობულეთში ვვარჯიშობდით. შემდეგ გავემგზავრეთ ახალციხეში, სადაც 27 ივლისამდე გავდიოდით წვრთნას. ზღვისა და მთის კლიმატის მონაცვლეობამ სასურველი შედეგები მოგვცა. ამჟამად ვვარჯიშობთ თბილისში, აქ 18 აგვისტომდე დავრჩებით. 25 აგვისტოდან გვეწყება საშეჯიბრებო მომზადების ეტაპი, რომელიც 18 სექტემბრამდე გასტანს. ამ ეტაპის ბოლოს გადაწყდება, ვინ იასპარეზებს 23-26 სექტემბერს ტაშკენტში, სასპარტაკიადო ტურნირზე. თითოეულ წონაში 3-4 თანაბარი ძალის მოჭიდავე გვყავს. თითქმის ყველა საქართველოს პირველობებისა და საკავშირო ტურნირების გამარჯვებული ან პრიზიორია: დ. დემეტრაშვილი, გ. მეკოკიშვილი (ორივე — 57 კგ), მ. სუხიტაშვილი (62 კგ), კ. ამბოკაძე, ა. ძავაშვილი, ა. დონღუზაშვილი (სამივე — 75 კგ), ზ. ამბარდანოვი (83 კგ), გ. წაქაძე (მძიმე წონა) ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორები არიან, ხოლო ბ. ბასილაშვილი, კ. ხუბუჯაშვილი (ორივე — 57 კგ), გ. ხოსიტაშვილი, გ. მოდებაძე (ორივე — 62 კგ), თ. ჭელიძე, ლ. შამიაშვილი, ნ. ბაზალელი, გ. ქარჩაიძე (ოთხივე — 68 კგ), დ. ბაგაური (75 კგ), ი. ჭინჭარაძე (83 კგ) — სხვადასხვა რანგის საკავშირო ტურნირების პრიზიორები. ვ. პარუნაშვილმა (მძიმე წონა) წლეულს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა ჭაბუკთა შორის. კ. ქურასპედიანმა (53 კგ) მოიგო წლევანდელი „ოლიმპიური იმედის“ ტურნირი, ვ. ბერუაშვილმა (მძიმე წონა) შარშან II ადგილი მოიპოვა ჭაბუკ ძიუდოისტთა საკავშირო პირველობაზე, წელს კი ახალგაზრდებში იასპარეზა და III ადგილი დაიკავა. დამეთანხმებით, ტაშკენტის ტატამზე გამოსვლის უფლების მოსაპოვებლად ბრძოლა უშეღავათო და რთული იქნება. სპარტაკიადაზე მხოლოდ იმათ წავიყვანთ, ვინც ვარჯიშს მონდომებას არ მოაკლებს და თავის უპირატესობას უშუალოდ კონკურენტებთან ჭიდილში დაამტკიცებს.

წინა სპარტაკიადებთან შედარებით წვრთნის მოცულობა და ინტენსივობა საგრძნობლად გავზარდეთ. ვვარჯიშობთ დღეში ორჯერ რამდენიმე საათს. თითოეულ სპორტსმენს შევურჩიეთ ინდივიდუალური გეგმა. ჩვენთან ნაყოფიერად მუშაობს სამეცნიერო ცენტრი, რომელსაც ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. ჩიტაშვილი ხელმძღვანელობს. ცენტრის დახმარებით ვადგენთ სპორტსმენთა ფუნქციურ მონაცემებს, ვახდენთ დატვირთვის ოპტიმალურ დოზირებას თითოეული მოჭიდავისთვის. ყოველნაირ დახმარებას გვიწევენ სკოლის თანამშრომლებიც (დირექტორი ა. გიორგობიანი).

მოსამზადებელი პერიოდი ისე მთავრდება, რომ ტრავმებს მაინცდამაინც არ შევუწუხებივართ. ესაა, ცოტა მისაღებმა გამოცდებმა შეგვიშალა ხელი, მაგრამ იმედი გვაქვს, მალე ყველაფერი კალაპოტში ჩადგება.

რაც შეეხება მეტოქეებს, სპარტაკიადაზე ძლიერი შემადგენლობა მოიყრის თავს. უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის გუნდებთან მძიმე ბრძოლები მოგველის. ყველაზე ძლიერი კი, რა თქმა უნდა, რუსეთის ფედერაციის ნაკრებია, რომელიც ჩვენს მთავარ კონკურენტად მიგვაჩნია I-II ადგილებისთვის ბრძოლაში. დასასრულს მინდა ვთქვა, რომ მწვრთნელთა კოლექტივი — განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ძიუდოში მერაბ ბროძელი, მწვრთნელები კოტე საბურიშვილი, ოთარ ნატროშვილი, კონსულტანტი — საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბიძინა მაზიაშვილი — ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა საქართველოს მოსწავლე ძიუდოისტთა ნაკრები ტაშკენტის ასპარეზზე მომზადებული შეხვდეს. იმედი მაქვს, არც ჩვენი ფალავნები დაზოგავენ თავს და გვასახელებენ.

საუბარი ჩაიწერა
კობა ახალბედაშვილმა.

• • •

სურათებზე: საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები სპარტაკიადისთვის ემზადება.

ჯემალ კახრაძის ფოტო.

ოთარ მჭედლიშვილის ვერცხლის მედალი

საფრანგეთის ქალაქ. კანში გრძელდება იუნიორ ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა უკვე სამი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

გუშინწინ გათამაშდა მედლების ორი კომპლექტი. გამოდევნებით გუნდური რბოლის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გდრ-ისა და საბჭოთა ველოსიპედისტები. პირველი ადგილი მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრებმა.

საინტერესო გამოდგა სპრინტერთა ბრძოლის ფინალი. აქაც გდრ-ის და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები იბრძოდნენ. ჩემპიონი გახდა მიჰაელ შულცე. ვერცხლის მედალი ხვდა **ოთარ მჭედლიშვილს,** ბრინჯაოსი — იენს გლიუკლიჰს (გდრ).

წინა დღით ქართველმა ველოსიპედისტმა მონაწილეობა მიიღო გიტში 1000 მ და IV ადგილი დაიკავა — 1.09.836. ჩემპიონი ამ სახეობაში გახდა ი. გლიუკლიჰი (გდრ) — 1.08,804. მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს კ. შომერმა (აშშ) — 1.09,272 და ფ. ეგნერმა (გფრ) — 1.09,389.



აწმყო, შობილი წარსულისაგან

ჯემალ აბაიშვილი

1965 წლის 13 თებერვალი, თბილისის სპორტის სასახლე. ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი ხელბურთში.

თბილისის „ბურევესტნიკი“: აბაიშვილი, ცერცვაძე, ანთაძე, კლიმოვი, ექსეულიძე, ფხაკაძე, კარტოზია.

ზაგრების „მედვეშჩაკი“: ვუკოვიჩი, ჟაგმესტარი, ივიჩევიჩი, ბლანკი, ნილკოვიჩი, ბოგდანი, ურემოვიჩი.

ამ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე იუგოსლავიაში ჩვენმა ხელბურთელებმა მეოთხედფინალური მატჩის პირველი თამაში წააგეს და თანაც საკმაოდ დიდი ანგარიშით — 13:21. ნახევარფინალში გასასვლელად „ბურევესტნიკს“ „მედვეშჩაკისათვის“ 9 ბურთის სხვაობით უნდა მოეგო...

თამაშის წინ „ლელოს“ კორესპონდენტი „ბურევესტნიკის“ კაპიტანს ესაუბრა. ჯემალ აბაიშვილმა ბელგრადში მატჩის წაგება ძირითადად არაობიექტურ მსაჯობას დააბრალა, თუმცა ისიც დაუმატა: მოედანზე ჩვენი მოთამაშეები იუგოსლავიელებზე ნაკლებს მოძრაობდნენო. გთავაზობთ მაშინდელი ინტერვიუს ერთ პატარა ნაწყვეტს:

„შეკითხვა: როგორი გუნდია ზაგრების „მედვეშჩაკი?“.

პასუხი: ჩემი აზრით, ეს გუნდი საშუალოზე ცოტა უკეთ თამაშობს. მხოლოდ მილკოვიჩზე, ჟაგმესტარსა და ურემოვიჩზე შეიძლება ითქვას, რომ მაღალი კლასის ხელბურთელები არიან.

შეკითხვა: შეიძლება თუ არა „მედვეშჩაკისაგან“ 8-ბურთიანი ფორის „ამოღება“?

პასუხი: შეიძლება და მეტიც — მოგება დიდი სხვაობით. მჯერა, რომ ბელგრადში წაგების სიმწარეს გამოვისყიდით“.

„მედვეშჩაკის“ მწვრთნელმა ვ. შტენცლმა კი განაცხადა: პირველ შეხვედრაში ასეთი წარმატების იმედი არ გვქონია. თბილისელთა შესახებ ბევრი რამ კარგი მსმენია. მაგრამ მოხდა, რასაც არ ველოდით — „ბურევესტნიკმა“ სუსტად ჩაატარა თამაში. ცერცვაძემ ამჯერად ვერ მოახერხა თავის გამოჩენა, მე მას ვიცნობ პრაღის მსოფლიო ჩემპიონატიდან. საშუალოდ ითამაშა ჩემმა მეორე ნაცნობმაც — მეკარე აბაიშვილმა. იგი პრაღაში შეუდარებელი იყო. ბელგრადის მატჩში თქვენი გუნდის დაცვა მოიკოჭლებდა... ახლა „მედვეშჩაკისათვის“ ნახევარფინალისაკენ გზის გადაკეტვა მხოლოდ სასწაულს შეუძლია“.

ამ ორი განსხვავებული აზრის მიუხედავად, „ბურევესტნიკი“ საკმაოდ ცუდ დღეში იყო. თბილისის სპორტის სასახლეში მოსულ უამრავ მაყურებელს შესანიშნავად ესმოდა ეს ამბავი, მაგრამ იმედი ბოლომდე არავის დაუკარგავს. და აი, ჩეხოსლოვაკიელი მსაჯის ე. პარდუბსკის სასტვენის ხმაზე თამაში დაიწყო...

სანამ ამ ოცი წლის წინანდელი მატჩის პერიპეტიებს მივყვებით, გვინდა ცოტა რამ გავიხსენოთ „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა გუნდისა და მისი კაპიტნის, მსოფლიოს იდეალური ნაკრების ყოფილი წევრის, სპორტის საპატიო ოსტატის ჯემალ აბაიშვილის შესახებ.

საქართველოში ხელბურთი მაშინ დაიბადა, როცა თამაზ ანთაძემ და მისმა მეგობრებმა: კოტე ხატისკაცმა, ჯანო ბაგრატიონმა, ასტამურ აჩბამ, ლევან ლოლუამ, ბესიკ შარაშენიძემ, თამაზ ჩხარტიშვილმა და სხვებმა 1956 წელს „ბურევესტნიკის“ ბაზაზე პირველი გუნდი შექმნეს. ერთი წლის შემდეგ თბილისელები უკვე მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის ზონალურ პირველობაში. იმ დროს ხელბურთს 11 კაცი თამაშობდა, მხოლოდ 1959 წელს ჩამოყალიბდა ჩვენში პირველი შვიდკაციანი კოლექტივი.

თბილისის „ბურევესტნიკს“ თავიდანვე ქუდბედი დაჰყვა, თავად განსაჯეთ: 1961 წელს თბილისელებმა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა მოიგეს. 1962 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ, 1963 წელს III საპრიზო ადგილი დაიკავეს, 1964 წელს კვლავ ჩემპიონები არიან, 1965-66 წლებში კი ზედიზედ ორჯერ მოიპოვეს ვერცხლის მედლები. გარდა ამისა, თბილისელებმა ჩაატარეს არაერთი საერთაშორისო შეხვედრა და უმეტესობა მოიგეს.

ჯემალ აბაიშვილი ამ ტრიუმფალური პერიოდის დადგომამდე მოვიდა გუნდში და თითქმის თორმეტი წლის განმავლობაში იცავდა „ბურევესტნიკის“ კარს.

ახლა თვითონ ჯემალს მოვუსმინოთ: „ქართული ხელბურთის წარმატებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა თბილისის სპორტის სასახლემ, რომელიც 1961 წლის მაისში გაიხსნა. საზეიმო გახსნაზე მოვიწვიეთ უნგრეთის ნაკრები. ჩვენმა ბიჭებმა სტუმრების გუნდთან ორივე შეხვედრა დიდი ალმავლობით ჩაატარეს და გავიმარჯვეთ კიდეც — 17:15, 14:13. იმავე წელს საქართველოში ჩამოვიდნენ დანიელები, რომლებსაც ორივე თამაში ერთნაირი ანგარიშით — 20:13 — მოვუგეთ, მერე კი პლზენის „სპარტაკს“ ვუმასპინძლეთ. მხოლოდ მათთან დავთმეთ ერთი შეხვედრა — 17:23, მეორე ჩვენი გამარჯვებით დასრულდა — 22:18. სწორედ ამ საერთაშორისო თამაშებში დაიხვეწა და დადგინდა გუნდის ძირითადი შემადგენლობა, რომელსაც შემდგომში მაყურებელი „შესანიშნავ შვიდეულს“ ეძახდა: ჩვენთან თამაშობდა ორი უმაღლესი ტექნიკის მქონე ხელბურთელი — თამაზ ანთაძე და ჯემალ ცერცვაძე. გუნდში იყვნენ ძლიერი გარემარბები: იმედო ფხაკაძე და ლერი კარტოზია, წინა ხაზის შესანიშნავი მოთამაშე ანზორ ექსეულიძე... გამოიკვეთა თამაშის განსაკუთრებული, მხოლოდ ჩვენთვის დამახასიათებელი მანერა — ტექნიკასა და იმპროვიზაციაზე დაყრდნობილი ხელწერა. სწორედ ასეთი იყო „ბურევესტნიკი“, როცა პირველად გაემგზავრა კაუნასში, საკავშირო ჩემპიონატზე. მაშინ საბჭოთა ხელბურთის აღიარებული ლიდერები იყვნენ კიევის „ბურევესტნიკი“, „მოსკოვის „ტრუდი“ და კაუნასის „ატლეტასი“, ჩვენს გუნდს კი ანგარიშგასაწევ ძალად არც თვლიდნენ. კაცმა რომ თქვას, ჩემპიონატზე ჩვენც მხოლოდ იმ იმედით წავედით, რომ სპორტის ოსტატის ნორმა შეგვესრულებინა... მაგრამ, როგორც იტყვიან, მადა ჭამაში მოდის, — კაუნასიდან საბჭოთა კავშირის ჩემპიონებად დავბრუნდით. ჯემალ ცერცვაძე ტურნირის საუკეთესო ბომბარდირად აღიარეს, საუკეთესო მეკარედ კი მე დამასახელეს“.

მას შემდეგ ჯემალ აბაიშვილს საუკეთესო მეკარისთვის დაწესებული პრიზი არავისთვის დაუთმია, არადა იგი ყველაზე ტანმორჩილი გახლდათ ხელბურთის მეკარეებს შორის. ზოგი ჭირი მარგებელიაო — შესაძლოა ამ ერთგვარმა ნაკლმაც კი განაპირობა მისი განსაკუთრებული წარმატება. ჩემი ტანის კაცს მხოლოდ დაუღალავი შრომისა და სასწაულებრივი რეაქციის წყალობით შეეძლო კარში კარგად დგომაო, — თქვა ერთხელ ჯემალმა და მართალიც იყო. სწორედ ამ თვისებებმა გამოუმუშავეს თბილისელთა მეკარეს თამაშის საკუთარი, ორიგინალური მანერა. განსაკუთრებული რეაქციის შემწეობით იგი იოლად ახერხებდა კარიდან დროულად გამოსვლას და თავდამსხმელის მიერ ნატყორცნი ბურთის უვნებელყოფას.

კაუნასში მოპოვებული წარმატების შემდეგ ჯემალ აბაიშვილი საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანეს და იგი შვიდი წლის განმავლობაში იცავდა საბჭოთა ქვეყნის უპირველესი გუნდის კარს. ჯემალის გარდა ნაკრებში ადგილები დაიმკვიდრეს იმედო ფხაკაძემ, თამაზ ანთაძემ, ანზორ ექსეულიძემ და ჯემალ ცერცვაძემ.

1964 წელს საბჭოთა ნაკრები პრაღაში გაემგზავრა, მსოფლიოს V ჩემპიონატზე. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ჯემალ აბაიშვილი, ერიკ ველდრე, მიხეილ უსენკო, გიორგი ლებედევი, იური რეზნიკოვი, ალგირდას მაცაჟინსკასი, ვალერი ზელენოვი, იური ზდორენკო, ჯემალ ცერცვაძე, ვალენტინ ცაპენკო. მწვრთნელები: იანის გრანბერგასი და ვლადიმერ კოვალიოვი. ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში ჩვენმა გუნდმა მეხუთე ადგილი დაიკავა. ჯემალ აბაიშვილი ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ აღიარეს და მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში შეიყვანეს.

იმავე წელს თბილისის „ბურევესტნიკი“ მეორედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და ამ წარმატებამ გუნდს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებისკენ გაუხსნა გზა. თბილისელებმა დაუბრკოლებლად განვლეს ყველა ეტაპი და მეოთხედფინალში წაიბორძიკეს — იუგოსლავიაში დიდი ანგარიშით დამარცხდნენ ზაგრების „მედვეშჩაკთან“ — 13:21...

ახლა თბილისის სპორტის სასახლეში უნდა გადაწყვეტილიყო ყველაფერი. მსაჯმა სასტვენს ჩაჰბერა და განმეორებითი მატჩი დაიწყო...

მეტოქეებმა პირველი წუთიდანვე შეუტიეს ჩვენს კარს და მალე სამი მშრალი ბურთიც გაიტანეს, მაგრამ თბილისელები უმალვე მოვიდნენ გონს — პირველი ტაიმი ფრედ დასრულდა — 7:7. ყველაფერი თამაშის მეორე ნახევარს უნდა გადაეწყვიტა...

თბილისის სპორტის სასახლის მოედანზე სწორედ მეორე ტაიმში გაჩაღდა ის დრამატული ბატალიები, რომელთა გამოც ეს მატჩი გავიხსენეთ. თამაშის დამთავრებამდე 20 წუთიღა რჩებოდა. ანგარიში კი იყო 11:10 თბილისელთა სასარგებლოდ. მაყურებელს იმედი გადაეწურა — მეტოქის კარში კიდევ რვა ბურთის გატანა თითქმის შეუძლებელი ჩანდა.

„მედვეშჩაკის“ ხელბურთელებს თავი ქუდში ჰქონდათ. ამას მოწმობდა მათი განათებული, ღიმილიანი სახეები, მშვიდი, აუღელვებელი თამაში. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ნახევარფინალის საგზური უკვე ჯიბეში ეგულებოდათ. აი, სწორედ მაშინ ამოვარდა ქარიშხალი.



42-ე წუთი: ცერცვაძემ ანგარიში გაზარდა — 12:10.

44-ე წუთი: მეკარესთან პირისპირ გასულმა ანთაძემ მეცამეტე ბურთი შეაგდო.

45-ე წუთი: ფხაკაძე წააქციეს და ცერცვაძემ კარგად გამოიყენა პენალტი — 14:10.

მეტოქეები დაფრთხნენ, დაფაცურდნენ, სულ უფრო და უფრო ხშირად იყენებენ აკრძალულ ხერხებს, ანგარიში კი თბილისელთა სასარგებლოდ იზრდება — ცერცვაძეს, ექსეულიძეს და კლიმოვს სხვაობა 9 ბურთამდე აჰყავთ — 19:10, მაგრამ ბლანკი მოულოდნელი ტყორცნით ანგარიშს ამცირებს.

სტუმრები კვლავ ნერვიულობენ. ჟაგმესტარი პენალტს აფუჭებს და ახლა შვიდმეტრიან დარტყმებს გუნდის კაპიტანი მილკოვიჩი შეასრულებს. 58-ე წუთზე სწორედ მისი ტყორცნის შემდეგ გახდა ანგარიში 20:12, მაგრამ 30 წამიც არ იყო გასული, რომ ჯემალ ცერცვაძემ ანგარიში კვლავ გაზარდა — 21:12!

ნახევარფინალამდე თითქმის არაფერი დარჩენილიყო, ზეიმობდა ხალხით გაჭედილი ტრიბუნები... თამაშის დამთავრებას 20 წამიღა აკლდა, სწორედ ამ დროს ტყორცნა კლიმოვმა... ჩაჭრილი ბურთი ჩვენი კარისკენ დაძრულმა ბოგდანმა მიიღო, რომელიც საჯარიმო ხაზთან მოცელეს და... პენალტი!..

მილკოვიჩმა მეკარისაგან მარცხენა კუთხეში ტყორცნა ბურთი — 21:13. ასე დამთავრდა ბელგრადის მატჩიც. ახლა ყველაფერი კენჭისყრას უნდა გადაეწყვიტა...

ისევ ჯემალ აბაიშვილს მოვუსმინოთ: „თამაშის დრო ამოიწურა. ანგარიში იყო 21:12 ჩვენს სასარგებლოდ, მაგრამ იუგოსლავიელთა კაპიტანს ჩემს კარში შვიდმეტრიანი უნდა დაერტყა. გამოვიდა, ბურთი აიღო, კარისკენ არც გამოუხედავს, მაგრამ ტანმა მიგრძნო, რომ ჩემგან მარცხენა კუთხეში უნდა დაერტყა. მოვემზადე. მეკარისათვის ამ წუთებზე მძიმე არაფერია — დგახარ, ელოდები, ყველანი შენ შემოგყურებენ, შენზეა დამოკიდებული — ან დაღუპავ, ან ააშენებ. ასეთი პასუხისმგებლობის განცდა საშინლად მოქმედებს ადამიანზე... ტყორცნა ისეთი ელვისებური გამოდგა, რომ კარგა ხანს გონს ვერ მოვედი... მართლაც მარცხენა კუთხეში გავიდა ბურთი. არ ვიცი, მომეჩვენა, თუ მართლა სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა ირგვლივ. ძლივს გამოვერკვიე — მსაჯი მიხმობდა. რაღაც ბუნდოვანი იმედით გავყევი კულისებში, თურმე კენჭისყრას უნდა გადაეწყვიტა ყველაფერი. მე და მილკოვიჩი მსაჯის წინ ვიდექით და ხელებში შევცქეროდით. იმან ხუთკაპიკიანი დაგვანახვა და იუგოსლაველთა კაპიტანს რაღაც ჰკითხა, მერე მონეტა ჰაერში შეისროლა. ძირს დაცემულ ხუთკაპიკიანს დავაცქერდით. უეცრად მილკოვიჩი სიხარულისაგან შეხტა და დარბაზში გავარდა. მაყურებელთა ტრიბუნებს აღტაცების ყიჟინამ გადაუარა, მაგრამ მაშინვე შეწყდა — „მედვეშჩაკის“ კაპიტანი ჩემსავით შავგვრემანი იყო და ხალხს თურმე თავიდან მე ვეგონე...“

ამ მატჩის შემდეგ ორი წელი გავიდა... 1967 წელს შვეციაში გაიმართა მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი, სადაც საბჭოთა გუნდმა IV ადგილი აიღო. საკავშირო ნაკრებს ხელმძღვანელობდა „ბურევესტნიკის“ მაშინდელი მწვრთნელი გიორგი შარაშიძე. ჩემპიონატზე კვლავ გაიბრწყინეს ქართველმა ხელბურთელებმა: ჯემალ აბაიშვილმა, ჯემალ ცერცვაძემ, იმედო ფხაკაძემ, ანზორ ექსეულიძემ... ეს ერთგვარი მაჟორული დასასრული იყო „შესანიშნავი შვიდეულის“ ტრიუმფალური სვლისა. „ბურევესტნიკში“ თაობათა ცვლის მტკივნეული პერიოდი დაიწყო...

ნუგზარ შატაიძე.

შრომითი სემესტრის სპორტული დღეები

თელავის სპორტულ ბაზებზე ჩატარდა ფიზკულტურის დღისადმი მიძღვნილი სტუდენტთა შრომითი რაზმების ზონალური სპარტაკიადა, რომელშიც კახეთის რაიონებში მომუშავე რვა რაზმი მონაწილეობდა. სპარტაკიადის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, მინი-ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ძალოსნობა (გირის აწევა), ჭადრაკი.

საერთო გუნდური პირველობა წილად ხვდა შოთა გამცემლიძის სახელობის რაზმს (რაზმის მეთაური ი. ყეინიშვილი), მეორე ადგილზე გავიდა მირზა გელოვანის სახელობის რაზმი (მეთაური ა. დიდებულიძე), მესამეზე — კაპიტან ბუხაიძის სახელობის რაზმი (მეთაური დ. ლაბაძე).

სარბიელზე 250-მდე სტუდენტი გამოვიდა. პირად პირველობაში 100 მ რბენაში უძლიერესი იყო ა. ხაილიშვილი (კ. ლესელიძის სახელობის რაზმი), 1000 მ დისტანციაზე ყველას აჯობა ფ. ყურაშვილმა (შ. გამცემლიძის სახელობის რაზმი). ხელყუმბარა ყველაზე შორს სტყორცნა რ. როჭიკაშვილმა (ვ. ალექსიშვილის სახელობის რაზმი). ძალოსნობაში პირველობა არავის დაუთმო გ. მახარობლიძემ (შ. გამცემლიძის სახელობის რაზმი). ამ რაზმის წარმომადგენლებმა პირველი ადგილი დაიკავეს მინი-ფეხბურთში. კალათბურთში ო. ჩიჩელაშვილის სახელობის რაზმის წევრებმა იმარჯვეს, ფრენბურთში და ჭადრაკში კი გამარჯვება მ. გელოვანის სახელობის რაზმელებმა იზეიმეს.

გ. ელიოზიშვილი.

თელავი.

მატჩი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელთან

სსრ კავშირი — მექსიკა

დღეს ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის მასპინძლის, მექსიკის ეროვნულ გუნდს შეხვდება.

საბჭოთა ფეხბურთელებისთვის ეს იქნება მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირისთვის მზადების მორიგი ეტაპი, მექსიკელები კი, შესარჩევი თამაშებისგან განთავისუფლებულნი, უშუალოდ ფინალური ასპარეზობისთვის ემზადებიან. დღევანდელი შეხვედრა მექსიკელთა ევროპული ტურნეს მეოთხე მატჩია. პირველი მათ ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში ფრედ (0:0) დაამთავრეს მასპინძელთა ეროვნულ ნაკრებთან.

მექსიკის ნაკრების მწვრთნელი, იუგოსლაველი სპეციალისტი ველიბორ მილუტინოვიჩი კმაყოფილი დარჩა როგორც შეხვედრის შედეგით, ისე თავისი გუნდის თამაშით. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა: „ჩემი აზრით, სტადიონზე მოსული 20 ათასამდე მაყურებელი საინტერესო საფეხბურთო სანახაობის მოწმე გახდა. მატჩი მეტად მაღალ ტემპში, დაძაბულად წარიმართა. ჩემმა ფეხბურთელებმა შესანიშნავად იბრძოლეს და მეტოქის მინდორზე ტოლი არ დაუდეს ძლიერ მოწინააღმდეგეს“.

მიმდინარე ტურნეს მილუტინოვიჩი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს: „ევროპაში იმისთვის ჩამოვედით, რომ ჩვენი თამაში პირველ ყოვლისა, ტაქტიკური თვალსაზრისით დავხვეწოთ. ამჟამად სწორედ ტაქტიკაა ჩვენი აქილევსის ქუსლი. რაც შეეხება მექსიკელ ფეხბურთელთა ტექნიკურ მომზადებას, ამ მხრივ ისინი მუდამ გამოირჩეოდნენ. დამაკმაყოფილებელია ნაკრების წევრთა ფიზიკური მზადყოფნაც“.

მწვრთნელის ნათქვამი ტურნეს მომდევნო ორმა შეხვედრამაც დაადასტურა. 11 აგვისტოს მექსიკის ნაკრებმა ფრედ (1:1) დაამთავრა შეხვედრა ბერლინში გდრ-ის ნაკრებთან, ხოლო 15 აგვისტოს ჰელსინკში მოუგო მასპინძელი ქვეყნის — ფინეთის ეროვნულ გუნდს — 3:0.

ბერლინში გამართული მატჩი ორივე გუნდისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები, ისევე როგორც მისი მეტოქე, გადახალისებული შემადგენლობით გამოვიდა მინდორზე. შესაძლოა, ამის ბრალიც იყო ის, რომ მატჩი ვერც სანახაობრივი თვალსაზრისით გამოდგა მაინცდამაინც საინტერესო. მიუხედავად ამისა, თამაშის შემდეგ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე მილუტინოვიჩმაც და გდრ-ის ნაკრების ახალმა ხელმძღვანელმა ბერნდ შტანგემაც აღნიშნეს, რომ მატჩი ორივე გუნდისთვის სასარგებლო იყო. „ევროპაში ფაქტიურად ახალი კოლექტივით ჩამოვედით და სულაც არ მგონია, რომ ჩემმა ბიჭებმა ცუდად ითამაშეს. გასაკვირი არ არის, რომ ცალკეულ ფეხბურთელებსა და რგოლებს შორის ჯერჯერობით არ იგრძნობა ის შეთამაშება და ურთიერთგაგება, ურომლისოდაც წარმატებაზე ფიქრი წარმოუდგენელია. იმედი მაქვს, რომ თანდათან ყველაფერი მოგვარდება“,— განაცხადა მექსიკელთა მწვრთნელმა და დასძინა: „თამაშის წინ ფრე ჩემი გუნდისთვის საუკეთესო შედეგად მეჩვენებოდა, მატჩის მსვლელობამ კი ცხადყო, რომ მოგებაც შეგვეძლო“.

მართლაც, 79-ე და 85-ე წუთებზე მასპინძელთა კარი ორჯერ გადაურჩა აშკარა გოლს. ჯერ იყო და ბრწყინვალედ ითამაშა ახალგაზრდა მეკარე ვაისფლოგმა, როცა ფლორესის უძლიერესი დარტყმა მოიგერია, შემდეგ კი იმავე ფლორესის თავური ძელს მოხვდა. გოლები პირველ ტაიმში გავიდა. ანგარიში მე-2 წუთზე გახსნა მასპინძელთა ნახევარმცველმა ბაქსმა, ხოლო 21-ე წუთზე სტუმართა ცენტრალურმა მცველმა კირარტემ ულამაზესი დარტყმით საპასუხო ბურთი გაიტანა.

ფინეთის ნაკრებთან სათამაშოდ მექსიკელები საკუთარ ძალაში დარწმუნებულები გამოვიდნენ. მათ აშკარად დაჯაბნეს მასპინძელთა კოლექტივი — მის კარში სამი „მშრალი“ ბურთი გაიტანეს (აგირე, ერნანდესი, ნეგრეტე).

აქედანაც მშვენივრად ჩანს, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებს დღეს საკმაოდ სერიოზული მეტოქე ეყოლება. მექსიკის ეროვნული ნაკრები მიზნად ისახავს წარმატებით გამოვიდეს 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, რაშიც მას „საკუთარი კედლებიც“ დაეხმარება. ამ ასპარეზობისთვის მზადების პროგრამა მრავალფეროვანია და ხანგრძლივ ერთობლივ შეკრებებთან ერთად არაერთ საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრასაც ითვალისწინებს.

თითქმის ორი წელია, რაც მექსიკის ნაკრებს სათავეში უდგას იუგოსლაველი ველიბორ მილუტინოვიჩი. ეს სპეციალისტი წლების მანძილზე ბელგრადის „პარტიზანის“ ღირსებას იცავდა, მერე საფრანგეთშიც თამაშობდა, ბოლოს მექსიკის ერთ-ერთ კლუბში მიიწვიეს ჯერ მოთამაშედ, შემდეგ კი მწვრთნელად. 1983 წლის 25 იანვრიდან ევროპის ტურნეს დაწყებამდე გუნდმა მისი ხელმძღვანელობით 16 საერთაშორისო ამხანაგური მატჩი გამართა როგორც სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებ კოლექტივებთან, ისე ევროპის ცნობილ საკლუბო გუნდებთან. 16 შეხვედრიდან მექსიკელებმა 12 მოიგეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ისინი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში პირველად როდი მონაწილეობენ: აქამდე გამართულ 12 მსოფლიო პირველობიდან მექსიკის ნაკრებმა ცხრაში იასპარეზა და ამ მაჩვენებლით მხოლოდ ბრაზილიისა (12) და იტალიის (10) ეროვნულ გუნდებს ჩამორჩება.

მექსიკის ნაკრები ამჟამად საკმაოდ ახალგაზრდული კოლექტივია. საკმარისია ითქვას, რომ მის შემადგენლობაში არ არის 30 წელს გადაცილებული არც ერთი მოთამაშე. ნაკრების საუკეთესო ფეხბურთელებს შორის ასახელებენ მეკარე ლარიოსს, ცენტრალურ მცველებს კირარტესა და მანსოს, თავდამსხმელ ფლორესს, ნახევარმცველ სარსასა და სხვებს.

კარგი ტექნიკური და ფიზიკური მომზადების გარდა მიმომხილველები მექსიკელთა გუნდის ერთ თვისებასაც აღნიშნავენ — უხეშობას. ამ მხრივ განსაკუთრებით „გამოირჩევა“ ნახევარმცველი დე ლოს კობოსი, რომელმაც გდრ-ის ნაკრებთან შეხვედრაში მეტოქის ორ მოთამაშეს საკმაოდ სერიოზული ტრავმები მიაყენა.

გაგაცნობთ შემადგენლობას, რომლითაც მექსიკელებმა გდრ-ის ეროვნულ გუნდთან ითამაშეს: ლარიოსი (მეხიკოს „კრუს ასული“, 24 წლისა, 6 მატჩი ნაკრების მაისურით), ჩავესი (გვადალახარას „უნივერსიტეტი“, 24, 6), კირარტე („გვადალახარა“, 28, 11), მანსო (მეხიკოს „ამერიკა“, 25,21), ამადორი (მეხიკოს „უნივერსიტეტი“, 25, 8), სარსა („პუებლა“, 25, 21), დე ლოს კობოსი (მეხიკოს „ამერიკა“, 25, 5), ბოი („ლეონი,“ 29, 11), აგირე (მეხიკოს „ამერიკა“, 25, 14), დე ლა ტორე („გვადალახარა“, 23, 3), ფლორესი (გვადალახარას „უნივერსიტეტი“, 24,11). 66-ე წუთზე ბოი შეცვალა ნეგრეტემ (მეხიკოს „უნივერსიტეტი“, 25, 16), ხოლო 88-ზე სარსას ნაცვლად გამოვიდა პადია („ატლასი“, 24, 4).

• • •

სურათზე: გდრ-ისა და მექსიკის ნაკრებთა ამასწინანდელი მატჩი. ბურთისთვის იბრძვიან მექსიკელი მანუელ სარსა (მარჯვნივ) და რაინერ ტროპა.

საბჭოთა კავშირის პირველობა

I ლიგა

17 აგვისტოს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო [illegible] თამაშების 28-ე ტურის კალენდარული მატჩები. საქართველოს გუნდებმა ტურის თამაშები შინ ჩაატარეს. ამ შეხვედრათა შესახებ ჩვენმა კორესპონდენტებმა ტელეფონით აი, რა შეგვატყობინეს:

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 2:0 (2:0)

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 17 აგვისტო.

„ტორპედო“: ტყებუჩავა, კოხტავა, ფრუიძე, კურტანიძე, თავაძე, ჯოხაძე, კორძალიძე, კერესელიძე, მეგრელაძე, ვასაძე (ბურკაძე), შენგელია.

„ზარია“: ტკაჩენკო, ხურჩენკო, ჩერედნიჩენკო (ტარასენკო), იარმოლიჩი, სოროკალეტი, გამულა, იაროშენკო, მალიშენკო, კალესნიკოვი, კუკსოვი, ბობკოვი.

მსაჯი ლ. სერდიუკოვი (სარატოვი).

დუბლიორები — 2:4.

პირველი 45 წუთის მანძილზე ტორპედოელები სრულ უპირატესობას ფლობდნენ. სტუმრებმა მხოლოდ ერთხელ დაარტყეს „ტორპედოს“ კარში და ისიც ტაიმის მიწურულს (მალიშენკო, 44-ე წუთი), მასპინძლებმა კი თავიდანვე ენერგიულად შეუტიეს მეტოქეს. მალე მსაჯმა საჯარიმო დანიშნა და კორძალიძის უძლიერეს დარტყმას მეკარე ტკაჩენკომ მხოლოდ მაშინ მიუსწრო, როცა ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა — 1:0.

ქუთაისელთა იერიშები განსაკუთრებით შუა ტაიმში გახშირდა. 33-ე წუთზე თავაძემ ჩაიგდო მეტოქის გადაცემა, სწრაფად ჩააწოდა გარღვევაზე გასულ მეგრელაძეს, რომელმაც კრიტიკულ სიტუაციაში ზუსტად ითამაშა — 2:0. ამის შემდეგ „ზარიას“ კართან კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა, მეკარე ტკაჩენკოს რამდენიმე ძნელი ბურთის მოგერიება მოუხდა.

შესვენების შემდეგ ვოროშილოვგრადელები საგრძნობლად გამოცოცხლდნენ. ტყებუჩავამ მეტად ძნელი ბურთები მოიგერია (ბურთი ძელს მოხვდა). ტორპედოელებმა დიდი შემართებით იბრძოლეს და ბოლომდე შეინარჩუნეს პირველი ტაიმის ანგარიში.

ბექან ნამიჭეიშვილი.

„გურია“ (ლანჩხუთი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 2:1 (2:0)

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 17 აგვისტო.

„გურია“: მჭედლიძე, გილიგაშვილი, წიკლაური (ქასრაშვილი), ხურცილავა (ტყებუჩავა), მელიქია, ებანოიძე, კოპალეიშვილი, ფრიდონიშვილი, ჩხაიძე, უგრელიძე (აკოფიანი), ვერულაშვილი.

ასკ „კარპატი“: რასულოვი, გომანი, ბუნიაკი, ჟურავსკი, ზავიდოვსკი. რაფალჩუკი (აზიმოვი), კულიშევიჩი (ბატიჩი), დუბროვნი, ბანდურა, ლენდლი, დიკი.

მსაჯი ა. როდინი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:8.

ლანჩხუთელ ფეხბურთელებს გამოადგათ წინა მატჩის მწარე გაკვეთილი და პირველივე წუთებიდან ენერგიულად შეუტიეს მეტოქეს. განუწყვეტელი იერიშების შემდეგ, მე-14 წუთზე გათამაშებული მრავალსვლიანი კომბინაციის დასასრულს უგრელიძე პირისპირ გავიდა მეკარე რასულოვთან. თავდამსხმელმა კარგად გამოიყენა ეს შესაძლებლობა და ზუსტად გაიტანა ბურთი — 1:0.

„გურიის“ იერიშები არც შემდგომში შენელებულა, მე-19 წუთზე კომბინაცია კვლავ შუა ხაზის მოთამაშეებმა წამოიწყეს და კარგ პოზიციაში გაიყვანეს ერთბაშად ორი ფეხბურთელი — კოპალეიშვილი და ჩხაიძე. ამ უკანასკნელმა იმარჯვა და მეორე ბურთი გაგზავნა ლვოველთა კარში.

სტუმრები აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ, ამიტომ კონტრიერიშზე გადავიდნენ. 36-ე წუთზე ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა ბანდურა, მაგრამ მასპინძელთა მცველებმა დროულად უვნებელყვეს ხიფათი.

56-ე წუთზე, კოპალეიშვილის გადაცემის შემდეგ, ფრიდონიშვილმა ძლიერად დაარტყა კარში, რასულოვმა გაბედული ნახტომით იხსნა თავისი კარი, ამის შემდეგ კარპატელები კვლავ შეტევაზე გადავიდნენ, რასაც ბანდურას საპასუხო გოლი მოჰყვა — 1:2.

მატჩის დასასრულს ლანჩხუთელებმა ისევ ხელთ იგდეს ინიციატივა და საბოლოო დამაჯერებელ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

ანზორ სირაძე.

„დინამო“ (ბათუმი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:0 (0:0)

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 17 აგვისტო.

„დინამო“: მამინაშვილი, წუწუნავა, ანდღულაძე, კაკაბაძე, დურდიაძე, ზედანია, თორლაშვილი, ბაბუნიძე, შელია, გორგილაძე, ჩელებაძე.

„ფაკელი“: შირიაევი, ლოსევი, სავჩენკოვი, შაშკინი (სტუკალოვი), მხითარიანი, ოსიპოვი, სოკოლოვი, მინაევი (ვლასოვი), მურაშკინცევი, პიმუშინი, სოშენკო.

მსაჯი ს. ხუსაინოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 0:0.

ლიგის ერთპიროვნული ლიდერის ბათუმში ჩამოსვლამ ფეხბურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ტრიბუნები ხალხს ვერ იტევდა, მათ კოკისპირულ წვიმაშიც კი არ დაუტოვებიათ სტადიონი.

ბათუმელმა ფეხბურთელებმა შესანიშნავად ითამაშეს ძლიერ, გამოცდილ მეტოქესთან. ისინი მთელი ტაიმის განმავლობაში სტუმართა ნახევარზე იბრძოდნენ და არ აძლევდნენ ვორონეჟელებს საპასუხო იერიშზე გადასვლის საშუალებას. დინამოელებმა მეორე ტაიმიც სანაქებოდ ჩაატარეს. „ფაკელის“ გამოცდილი დაცვა დიდ ხანს იგერიებდა სახიფათო შეტევებს, მაგრამ 61-ე წუთზე მოსახდენი მაინც მოხდა: ბათუმელთა მოიერიშე მცველმა წუწუნავამ ძლიერად დაარტყა, სტუმრებმა მოიგერიეს ბურთი, მას ყველაზე ადრე მიუსწრო გორგილაძემ და ახლო მანძილიდან გაიტანა გოლი.

ამის შემდეგ ხელსაყრელი მომენტები შეექმნათ ჩელებაძეს, გორგილაძეს. 81-ე წუთზე მხითარიანსაც შეეძლო საპასუხო გოლი გაეტანა, მეკარე მამინაშვილს საუკეთესოდ რომ არ ეთამაშა.

ბათუმის „დინამომ“ ლიდერთან ღირსეულად იბრძოლა და დამსახურებულად გაიმარჯვა.

ოთარ მურვანიძე.

სხვა შეხვედრები:

28-ე ტურის სხვა მატჩების შედეგები: „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „დაუგავა“ (რიგა) 2:0, „ზვეზდა“ (ჯიზაკი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 3:2, „პამირი“ (დუშანბე) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 3:1, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 1:0, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 2:3, ასკ (ხაბაროვსკი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 1:1.

29-ე ტურში ქუთაისის ტორპედოელები თავიანთ მინდორზე მიიღებენ ბათუმის „დინამოს“, ხოლო ლანჩხუთის „გურია“ ვორონეჟში შეხვდება „ფაკელს“.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფაკელი“	26	18	3	5	38-16	39
„ტორპ.“ ქ.	27	15	5	7	51-35	35
„ყუბანი“	27	15	2	10	39-23	32
„მეტალ.“	27	12	8	7	42-28	32
„პამირი“	27	12	6	9	35-26	30
„დაუგავა“	27	11	8	8	46-35	30
„ლოკომ.“	26	10	10	6	29-24	30
ასკ „კარ.“	27	12	5	10	43-28	29
„გურია“	27	10	9	8	31-29	29
„დინამო“	27	10	7	10	31-39	27
„სპარტ.“	27	10	6	11	31-28	26
„ნისტრუ“	27	9	8	10	28-37	26
„ზვეზდა“	27	11	3	13	34-39	25
„როტორი“	27	11	3	13	38-50	25
„კუზბასი“	26	10	5	11	32-35	25
„ისკრა“	27	9	7	11	24-30	25
„ტავრია“	27	8	9	10	29-33	25
ასკ ხ.	26	7	9	10	30-36	23
„შინიკი“	27	7	8	12	32-36	22
„კოლოსი“	27	5	9	13	26-44	19
„ზარია“	26	5	7	14	27-42	17
„ირტიში“	26	4	9	13	20-43	17

უმაღლესი ლიგა

გუშინ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 26-ე ტურის გამოტოვებული მატჩი მოსკოვის „ტორპედოსა“ და ალმა-ათის „ქაირატს“ შორის.

შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 2:1 ტორპედოელთა სასარგებლოდ.

ერთი ქულაც და...

„სიჭაბუკის თასზე“

კრამატორსკში დასასრულს უახლოვდება საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ტრადიციული შეჯიბრება „სიჭაბუკის“ თასზე.

განვლილ ტურში საქართველოს ფეხბურთელებმა ანგარიშით 6:4 დაამარცხეს ლიტვის ნაკრები. 2-2 ბურთი გაიტანეს ჯორბენაძემ და თედეევმა, თითო — ბეკოევმა და ნოზაძემ.

ამავე ტურში რსფსრ-ის ფეხბურთელებმა დაამარცხეს უკრაინის ნაკრები — 2:1. ასეთივე ანგარიშით გაიმარჯვეს სომხეთის ფეხბურთელებმა უზბეკეთის გუნდთან შეხვედრაში.

დღეს საქართველოს გუნდს ბოლო მატჩი აქვს უზბეკეთის ნაკრებთან. **ჩვენს ფეხბურთელებს ფრეც ჰყოფნით — 8 ქულით ისინი პირველი ადგილისთვის ბრძოლაში მიუწვდომელნი იქნებიან დანარჩენებისათვის.**

„ტყავის ბურთის“ პრიზზე

სსრ კავშირის ქალაქებში (ფრუნზე, უჟგოროდი, კემეროვო) გრძელდება „ტყავის ბურთის“ კლუბის საკავშირო ფინალური შეჯიბრებები ნორჩ ფეხბურთელთა შორის.

უჟგოროდში, სადაც საშუალო ასაკის გუნდები გამოდიან, თავის ქვეჯგუფში წარმატებით თამაშობს სოხუმის „ამრა“. 4 ტურის შემდეგ სოხუმელები 6 ქულით ლიდერობენ (გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა 21-3).

ბომბარდირთაგან საუკეთესო მაჩვენებელი აქვს სოხუმელთა თავდამსხმელს ს. არუთინიანს —11 ბურთი.

ეროვნული

სპორტი, მეგობრობა, მშვიდობა

(დასასრული)

გულმოდგინედ ვემზადებოდით თამაშებისთვის, გვწადდა პატიოსნად გვეპაექრა ოლიმპიური ოქროსთვის პლანეტის ყველა უძლიერეს სპორტსმენთან. ვიმედოვნებთ, რომ „მეგობრობის“ სტარტები კვლავ დაუმტკიცებენ მსოფლიოს სოციალიზმის ქვეყნების სპორტსმენთა ძალას და მათს ერთგულებას ოლიმპიური იდეალებისადმი.

სტადიონის მწვანე მინდორზე ერთმანეთს ცვლიდნენ სპორტსმენები. ეს იყო ძალის, სილამაზის, სიმამაცის, მოქნილობის, ჯანმრთელობისა და ნებისყოფის გამოვლენის დაუვიწყარი ჰარმონია.

ზეიმის აპოთეოზად იქცა ფინალური სცენა — კომპოზიცია „ჩვენ გვინდა მშვიდობა“.

აღმოსავლეთ ტრიბუნაზე აღიმართა ვეება ტრანსპარანტი —„სპორტი მშვიდობის დესპანია“. ამავე დროს სპორტსმენებმა მინდორზე გამოსახეს ოთხი სანუკვარი ასო — სსრკ, წამის შემდეგ წარმოიქმნა ახალი სიტყვა — მშვიდობა. ორივე ეს მცნება განუყოფელია. „სპორტი, მშვიდობა, მეგობრობა“ — მწყობრად გაიძახოდა სტადიონი. ეს სიტყვები არა მარტო „მეგობრობის“ საერთაშორისო შეჯიბრებათა დევიზია, ისინი გამოხატავენ საბჭოთა ადამიანთა ერთგულებას ოლიმპიური მოძრაობის ნათელი იდეალებისადმი. (საკდესი).

ლუჟნიკის იღბლიანი სტარტები

— **საერთაშორისო** შეჯიბრება „მეგობრობა-84“ ტარდება როგორც სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა ტრადიციული ასპარეზობა და ამდენად იგი არ უპირისპირდება ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებს, — განაცხადა მოსკოვში აკრედიტებულ ჟურნალისტებთან გამართულ პრესკონფერენციაზე სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ნ. რუსაკმა. „მეგობრობა-84“ ღია ტურნირია და მასში სოციალისტური ქვეყნების გარდა აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკისა და ევროპის უძლიერესი სპორტსმენებიც მონაწილეობენ. წინასწარი მონაცემების მიხედვით აქ 40 ქვეყნის 2 ათასზე მეტი წარმომადგენელი გამოვა.

მოსკოვში მოწვეული არიან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელები, საერთაშორისო და ეროვნული ფედერაციების წარმომადგენლები. შეჯიბრებას გააშუქებს 60 ქვეყნის 1500-ზე მეტი აკრედიტებული ჟურნალისტი.

„მეგობრობა-84“-ის პროგრამაში შეტანილია მშვიდობის საერთაშორისო მარათონი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 5000-მდე მორბენალი, მათ შორის აშშ-ის სპორტსმენთა დიდი ჯგუფი. შეჯიბრება ჩატარდება ოლიმპიურ ტრასაზე.

ახლა მძლეოსან ვაჟთა ტურნირის შესახებ, რომელიც ტარდება ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე.

შეჯიბრების პირველ დღეს გაუმჯობესდა საკავშირო რეკორდი სიგრძეზე ხტომაში. მოსკოველმა კონსტანტინე სიომკინმა 8 მეტრი და 38 სანტიმეტრი დაძლია. ეს შედეგი 3 სანტიმეტრით სჯობნის 17 წლის წინ იგორ ტერ-ოვანესიანის მიერ დამყარებულ საკავშირო რეკორდს.

II ადგილი დაიკავა კუბელმა ჰაიმე ჯეფერსონმა (8 მ. 37 სმ), რომელმაც ასევე თავისი ქვეყნის რეკორდი გააუმჯობესა. მესამე შედეგი ჰქონდა სერგეი ლაევსკის (სსრკ) — 8 მ. 22 სმ.

გთავაზობთ სხვა შეჯიბრებათა ტექნიკურ შედეგებს:

ურო. 1. იური სედიხი — 85,60 მ. 2. იგორ ნიკულინი — 85,56 მ, 3. სერგეი ლიტვინოვი (ყველა — სსრ კავშირი) — 81,30 მ.

შუბი. 1. უვე ჰონი — 94,44 მ, 2. დეტლეფ მიჰელი (ორივე —გდრ) — 88,32 მ, 3. ზდენეკ ადამეცი (ჩეხოსლოვაკია) — 87,10 მ.

3000 მ. დაბრკოლებებით. 1. ბოგუსლავ მამინსკი (პოლონეთი) — 8.27,15, 2. ჰაგენ მელცერი (გდრ) — 8.27,43, 3. იონ ჰაგელ ბრანდტი (შვეცია) — 8.32,36.

იური სედიხი

100 მ. 1. ოსვალდო ლარა (კუბა) — 10,17, 2. ატილა კოვაჩი (უნგრეთი) — 10,18, 3. ლეანდრო გენალვერი (კუბა) — 10,21.

ბადრო. 1. იური დუნაევი (სსრ კავშირი) — 66,70 მ, 2. ხუან მარტინესი (კუბა) — 66,04 მ, 3. იურგენ შულტი (გდრ) — 66,02 მ.

10.000 მ. 1. ვალერი აბრამოვი (სსრ კავშირი) — 27.55,1, 2. ბულტი ვაიდლაიჯუ — 27.58,9, 3. ბეკელე დებელე (ორივე — ეთიოპია) — 28.03,0.

ბირთვი. 1. სერგეი კასნაუსკასი (სსრ კავშირი) — 21,64 მ, 2. უდო ბაიერი (გდრ) — 21,60 მ, 3. ვლადიმერ კისელიოვი (სსრ კავშირი) — 21,58 მ.

4X100 მ. 1. სსრ კავშირი (ნიკოლაი სიდოროვი, ვლადიმერ მურავიოვი, სერგეი სოკოლოვი, ალექსანდრე ევგენიევი) — 38,32. 2. კუბა — 38,39, 3. პოლონეთი— 38,81.

50 კმ სიარული. 1. ანდრეი გერლოვი (სსრ კავშირი) — 3:43.06, 2. პაველ სციკორა (ჩეხოსლოვაკია) — 3:45.35, 3. ოლეგ ანდრეევი (სსრ კავშირი) — 3:52.59.

გამარჯვება მსოფლიო რეკორდით

პრაღაში, სადაც მძლეოსან ქალთა ტურნირი მიმდინარეობს, ერთი მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა. ბერლინის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა, 22 წლის **ირინა მეშჩინსკიმ** ბადრო 73 მეტრსა და 36 სანტიმეტრზე ტყორცნა.

სახელდახელო პრესკონფერენციაზე, რომელიც იქვე, სტადიონის ტრიბუნაზე გაიმართა, ახალმა მსოფლიო რეკორდსმენმა განაცხადა: „სულ მალე ბადროს ალბათ 75 მეტრზე ტყორცნიან. მინდა ეს ზღვარი პირველად მე გადავლახო“.

400 მ. თარჯრბენში გაიმარჯვა ლენინგრადელმა მარინა სტეპანოვამ. მისი შედეგი — 53,67 მეორეა მსოფლიო მძლეოსნობის ისტორიაში. II ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონმა ეკატერინე ფესენკომ — 54,42, მესამე — მსოფლიო რეკორდსმენმა მარგარიტა პონომარიოვამ — 54,65.

დაძაბულად წარიმართა შეჯიბრება სიმაღლეზე ხტომაში. სამმა მონაწილემ — მსოფლიოს რეკორდსმენმა **ლიუდმილა ანდონოვამ** (ბულგარეთი), მსოფლიოს ჩემპიონმა **ტამარა ბიკოვამ** და ახალგაზრდა ტაშკენტელმა მძლეოსანმა **ლიუდმილა ბუტუზოვამ** ერთნაირი სიმაღლე (196 სმ) დაძლიეს. პირველი ადგილი მიეკუთვნა **ლიუდმილა ანდონოვას,** რომელმაც ამ შედეგის ჩვენებას ნაკლები ცდა მოანდომა. ამავე პრინციპით II ადგილი წილად ხვდა ბუტუზოვას, III — ბიკოვას.

800 მ დისტანციაზე ტრავმის გამო ვერ გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი იარმილა კრატოხვილოვა (ჩეხოსლოვაკია). სწორედ ამის გამო ბრძოლა უმაღლესი ჯილდოსათვის კიდევ უფრო გამძაფრდა. გაიმარჯვა მოსკოველმა **ირინა პოდიალოვსკაიამ** — 1.57.31. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: ჩეხოსლოვაკიელი ზუზანა მორავჩიკოვა (1.58,06) და მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი, ოდესელი ნადეჟდა ოლიზარენკო (1.58,10).

გთავაზობთ სხვა ტექნიკურ შედეგებს:

200 მ. 1. ბარბელ ვეკელი (გდრ) — 22,15, 2. სვეტლანა ჟაზდრიკოვა (სსრ კავშირი) — 22,75, 3. ნადეჟდა გეორგიევა (ბულგარეთი) — 22,79.

შვიდჭიდი. 1. ნატალია გონჩაროვა — 6477 ქულა, 2. ნადეჟდა ვინოგრადოვა (ორივე — სსრ კავშირი) —6357, 3. ჰაიკე ტიშლერი (გდრ) — 6290.

სიგრძე. 1. ჰაიკე დრეჰსლერი— 7.15 მ, 2. ჰელგა რადტკე (ორივე — გდრ) — 7,11 მ, 3. გალინა ჩისტიაკოვა (სსრ კავშირი) — 7,11 მ.

უმაღლესი შეფასება

ბუდაპეშტში, მარგიტის კუნძულზე შეჯიბრება დაამთავრეს ტრამპლინიდან წყალში მხტომელმა ვაჟებმა. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა, 22 წლის მინსკელმა **ალექსანდრე პორტნოვმა** — 697,50 ქულა. გამარჯვებულს თითქმის 29 ქულით ჩამორჩა დიტერ ვასკოვი (გდრ) — 668,91. მესამე შედეგი აჩვენა ჩელიაბინსკელმა სერგეი კუზმინმა — 655,71.

განსაკუთრებით კარგად პორტნოვმა ნებისმიერი ხტომები შეასრულა. ერთ-ერთ ცდაში მსაჯებმა მას უმაღლესი შეფასებაც (10 ქულა) კი მისცეს.

გუშინ ასპარეზობაში ჩაებნენ კოშკიდან მხტომელები.

ასპარეზობის პირველ დღეს ბირთვის კვრაში გამარჯვებული ნატალია ლისოვსკაია

მთავარი ბრძოლა წინაა

პოლონეთის ქალაქი კსენჟე ცხენოსნებს მასპინძლობს. შეჯიბრებაში მონაწილეობს 8 ქვეყნის 40-მდე სპორტსმენი.

თავდაპირველად სტარტზე გამოვიდნენ ცხენის გაწვრთნაში „მცირე პრიზზე“ მოასპარეზენი. აქ თავი გამოიჩინა დასავლეთგერმანელმა ცხენოსანმა ქალმა **მარლენ ვინტერმა,** რომელმაც 1279 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილი წილად ხვდა ინა ზალბახს (გდრ) — 1259, მესამე — ვოიცეხ დომბროვსკის (პოლონეთი) — 1212.

უფრო რთულ პროგრამაში („№2 საშუალო“ პრიზი) უძლიერესი იყო სსრ კავშირის ჩემპიონი, კიეველი **იური კოვშოვი.**

წინ არის მთავარი გამოცდა — პირადი და გუნდური შეჯიბრება „დიდი პრიზისთვის“.

სასიამოვნო სიურპრიზი

ბულგარეთის დედაქალაქში დაიწყო ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში. გამარჯვებისთვის აქ უმთავრესად საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სპორტსმენები იბრძვიან.

ორი სახეობის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა **დილიანა გეორგიევამ** (ბულგარეთი) — 19,90. II ადგილზეა მსოფლიოს ჩემპიონი გალინა ბელოგლაზოვა —19,80, III — ევროპის ჩემპიონი დალია კუტკაიტე (ორივე — სსრ კავშირი) — 19,75.

ყველასთვის მოულოდნელი იყო 14 წლის ბულგარელი გოგონას ბიანკა პანოვას წარმატება (იგი უკონკურსოდ ასპარეზობს). რგოლით ვარჯიშში მან ერთხმად მიიღო უმაღლესი შეფასება — 10 ქულა, ბურთით ვარჯიშში — 9,95 ქულა დაიმსახურა.

რეკორდებს არ ამტკიცებენ

XXIII ოლიმპიადის დღეებში ლოს-ანჯელესში ჩატარდა მძლეოსანთა საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციის (იააფ) კონგრესი, რომელმაც განიხილა თანამედროვე მძლეოსნობის აქტუალური საკითხები.

კონგრესის მონაწილეებმა არ დაამტკიცეს ამას წინათ დამყარებული მსოფლიო რეკორდები 10 000 (ვაჟებში) და 5000 (ქალებში) მეტრზე რბენაში.

როგორც ცნობილია, პორტუგალიელმა სტაიერმა ფერნანდო მამედემ სტოკჰოლმის საერთაშორისო შეჯიბრებაში თითქმის 10 წამით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი 10 კილომეტრზე რბენაში (27:13,81). მაგრამ ექსპერტთა მტკიცებით, სარეკორდო გარბენის დროს უხეშად იყო დარღვეული იააფ-ის წესები. კერძოდ, მამედეს „გზას უკაფავდნენ“ ლიდერები, რაც დებულებით სასტიკად არის აკრძალული.

ნორვეგიელმა მძლეოსანმა ინგრიდ ქრისტიანსენმა, რომელმაც ქალთა შორის პირველმა გადალახა 15-წუთიანი ზღვარი 5 კილომეტრზე რბენაში (14.58,89), დაარღვია რეკლამის წესი. ფინიშის შემდეგ გადაღებულ ფოტოსურათებზე თვალნათლივ მოჩანს ქრისტიანსენის მაისურზე სამი სარეკლამო ნიშანი.

ისინი კარგი სპორტსმენები არიან და შესანიშნავი შედეგებიც აჩვენეს, მაგრამ წესი წესია, — განაცხადა იააფ-ის მდივანმა ჯონ ჰოლტმა, — მათ დაარღვიეს დებულება და ამიტომ რეკორდსმენებად ვერ დავამტკიცებთ.

მაგრამ კომისიის ერთ-ერთი წევრის აზრით, ქრისტიანსენს მაინც ჩაუთვლიან რეკორდს. საერთაშორისო ფედერაცია ამჯერად ალბათ გაფრთხილებას დასჯერდება. მაგრამ ამიერიდან არც ერთ სარეკორდო შედეგს არ განიხილავენ, თუ სპორტსმენს სადოპინგო კონტროლი არ ექნა გავლილი.

იააფ-მა წამოაყენა წინადადება 1000 და 2000 მეტრზე, აგრეთვე 20, 25, 30 კილომეტრზე და ერთსაათიან რბენაში მსოფლიო რეკორდების რეგისტრაციის შესახებ. მომავალი წლის 1 აპრილიდან ძალაში შევა ფინალურ გარბენში სარბენი ბილიკების განაწილების ახალი სისტემა. ის სპორტსმენები, რომლებიც წინასწარ სერიებში ორ საუკეთესო შედეგს აჩვენებენ, ფინალში შესაბამისად მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ბილიკზე გამოვლენ. პირველი აპრილიდან დამტკიცდება, აგრეთვე, ქულების დარიცხვის ახალი შკალა ათჭიდსა და შვიდჭიდში.

კონგრესმა გადაწყვიტა 1986 წლიდან გაზარდოს შუბის სიგრძე და წონა. დელეგატების აზრით, შუბის მტყორცნელებს უკვე შესწევთ ძალა ეს იარაღი სტადიონის ფარგლებს გადააცილონ. ახალი წესის თანახმად, ნებისმიერი შეჯიბრების ორგანიზატორებმა ფულადი პრიზების ოდენობის დადგენისთვის მოლაპარაკება უნდა აწარმოონ არა სპორტსმენებთან, არამედ ეროვნულ ასოციაციებთან.

იააფ-ის ახალ წევრებად მიიღეს ბუტანი, კვიპროსი და მონაკო. ახლა მის შემადგენლობაში გაერთიანებულია 173 ქვეყანა. ფედერაციის მომავალი კონგრესი გაიმართება შტუტგარტში (გფრ) 1986 წელს, ევროპის ჩემპიონატის წინ.

„სპორტლოტო“

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 33-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 18 (მძლეოსნობა), 34 (ბალახის ჰოკეი), 35 (შაიბიანი ჰოკეი), 48 (ჭადრაკი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 9 (საგზატკეცილო ველობოლა), 10 (წყალბურთი), 22 (წყალში ხტომა), 34 (ბალახის ჰოკეი).



უსიტყვო იუმორი.

პროფესიული ჩვევა

ავტობუსი ისე იყო ხალხით გაჭედილი, აშკარად მესმოდა მისი კედლების ჭრიალი. ჩემს წინ მდგარი კაცის ხშირი თმა სახეზე მედებოდა. შიშველი ფეხები კარგა ხანია ჰაერში მქონდა აშვერილი— ფეხსაცმელი სალონში შესვლისთანავე გამხადეს.

წინა კარიდან ცივი და ძლიერი ქარი უბერავდა. ვიღაცამ დაახველა და ბრაზიანად წამოიძახა:

— გამჭოლი ქარია, კარი დახურეთ!

ეს სიტყვები მთელმა ვაგონმა აიტაცა. შეწუხებული მგზავრების მზერა მიპყრობილი იყო იმ კაცისაკენ, რომელიც კართან ისე იდგა, განძრევაც არ შეეძლო. ამ კაცს ჰქონდა ღია ცისფერი, თვინიერი თვალები, ნაცრისფერი შლაპა ეხურა. დამნაშავესავით იღიმებოდა.

— რა თავხედობაა! მიხურეთ კარი!

— ეტყობა, ტვინი აქვს გაყინული!

ცისფერთვალება კაცი ისევ თავაზიანად იღიმებოდა. ეს უკვე მეტისმეტი იყო.

— გადააგდეთ ვაგონიდან!

— ჭირსაც წაუღია!

— მაგნაირ პირუტყვს კაცმა კისერი უნდა მოუგრიხოს!

— ერთი თავში წამოარტყით, ეგებ აუმუშავდეს!

ლანძღვის ესოდენ შეუკავებელი ნიაღვარი თითქოს სულაც არ აღწევდა ცისფერთვალებამდე. იგი უწინდებურად მოთმინებითა და გულიად იღიმებოდა.

ჩემს გაჩერებასთან დიდი ჯაფის შემდეგ ძლივძლივობით გავძვერი გასასვლელისაკენ. ნაცრისფერშლაპიანი კაციც ჩამოვიდა.

— უკაცრავად, — გამოველაპარაკე და თან გაოფლილი კისერი საიდანღაც ჩემს ჯიბეში მოხვედრილი სხვისი ცხვირსახოცით მოვიწმინდე. — უკაცრავად, როგორ შეძელით მშვიდად აგეტანათ ასეთი ლანძღვა? ნევროპათოლოგი თუ ბრძანდებით ან იქნებ საბინაო განყოფილებაში მუშაობთ?

მან თავი გაიქნია.

— არა, — მომიგო ღიმილით,— ფეხბურთის მსაჯი ვარ.

გერმანულიდან თარგმნა
შოთა ამირანაშვილმა.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
ხამდივნო — 93-97-52,
წერილების განყოფილება — 93-97-55.
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსი
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხომარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 09977